



# PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ  
23 მარტი, 2017

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:  
ქეთი რეხვიაშვილი, კომუნიკაციების მენეჯერი  
ტელ: 032 222 7495 მობ: 599 095 111  
ელფოსტა: krekhvishvili@zrda.ge

## USAID-ის პროექტი Zrda იწყებს მცირე გრანტების პროგრამის განხორციელებას პანკისის ხეობაში

დუისი, პანკისის ხეობა - 2017 წლის 23 მარტს, საქართველოში USAID-ის მისიის დირექტორის მოადგილე, თომას მორისი და ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბექა ბაიდაური, შეხვდნენ ადგილობრივ თემებს და მიაწოდეს ინფორმაცია მცირე გრანტების პროგრამის დაწყების შესახებ, რომელიც წარმოადგენს USAID-ის Zrda პროექტის ინიციატივას. ვიზიტის დროს სტუმრები ეწვივნენ ფერმერებს, საოჯახო სასტუმროების მფლობელებსა და სოფლის მოსახლეობას, რომლებსაც პროექტი Zrda დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობების განხორციელების გზით. მცირე გრანტების პროგრამა დაეხმარება პანკისში მოქმედ ოცდაათ მცირე ბიზნესს, ხოლო ათი მათგანის დახმარება განხორციელდება 2017 წელს. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ბიზნესის წარმოებისა და ტექნიკური უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას ამ საკითგებზე ორგანიზებული ტრენინგების საშუალებით.

პროექტი Zrda განხორციელებს მცირე გრანტების პროგრამას პანკისის ხეობის ოთხივე თემში და დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას როგორც ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ისე რეგიონის პოპულარიზაციაში ტექნიკური დახმარების გზით, რომლის მიზანიც იქნება პანკისის პროდუქციის ბრენდის ჩამოყალიბება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. პროექტის განხორციელების შედეგად პანკისის ხეობაში დაგეგმილია დაახლოებით 200 სამუშაო ადგილის შექმნა, გაყიდვების გაზრდა 30 მცირე ბიზნესისთვის და 2 000 შინამეურნეობის შემოსავლის ზრდა მომავალი სამი წლის განმავლობაში.

მცირე გრანტების პროგრამა წარმოადგენს იმ პროგრამების გაგრძელებას, რომლებსაც პროექტი Zrda უკვე ახორციელებს პანკისის თემებში და იგი ხელს შეუწყობს პროექტის საქმიანობების დივერსიფიცირებას. Zrda უკვე ახორციელებს ბოსტნეული კულტურების და ბოსტნეულის ჩითილების მცირე სასათბურე მეურნეობების მშენებლობას და შედეგად, 50 000 გამოყვანილი ჩითილი უსასყიდლოდ გადაეცემა 2 000 ოჯახს. ასეთი დახმარების კიდევ ერთი მაგალითია საოჯახო სასტუმროს მფლობელი, ნაზი დაქიშვილი, ჯოყოლოს თემიდან. ამ საქმიანობის მიზანია უფრო მეტი ტურისტის მოზიდვა რეგიონში და ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების ზრდა. 2017 წლის თებერვლის ბოლოს ნაზი, საოჯახო სასტუმროების სხვა თორმეტ მფლობელთან ერთად, მონაწილეობდა პროექტის მიერ ორგანიზებულ ელექტრონული მარკეტინგის ტრენინგში, რის შედეგადაც გაუმჯობესდა მათი მარკეტინგული უნარ-ჩვევები. შესაბამისად, ისინი გახდნენ სასტუმროების დაჯავშნის



**USAID**  
ამერიკელი ხალხისათვის

პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



**Chemonics**  
Development works here.

საერთაშორისო ელექტრონული პლატფორმის წევრები, რაც ბევრად უმარტივებს ტურისტებს ამ ადგილის სტუმრობას.

**USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა** არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; [www.zrda.ge](http://www.zrda.ge)

**USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში:** უკანასკნელი 24 წლის განმავლობაში ამერიკმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>